# ხელშეკრულება 22

ქ. ჭიათურა

07 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ზოდის საჯარო სკოლა(შემდგომში ,,დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ყაველაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი გელა ჯალაბაძე, პ ნ 59001097577,მცხოვრები ქ. გორი, სოფელი ქორდი, ,,შემსრულებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს ' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (CVP 45300000 ) ეზოს წყალგაყვანილობის შეკეთება,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის და კომპიუტერების ოთახების კოსმეტიკური რემონტი ,სამასწავლებლოს და კომპიუტერების ოთახის ელექტრო გაყვანილობის შეკეთება, ღირებულების შესყიდვის ანაზღაურება.

შემსრულებელი ვალდებულია თავისი სახსრებით შეიძინოს და ტრანსპორტირება გაუკეთოს საჭირო მასალების შესყიდვას და შესრულებას.

მუხლი 2.ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი.

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2389(ორიათასსამასოთხმოცდაცხრა) ლარს. . მომსახურეობის გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება - ჩაბარების აქტით.
2. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიმსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება -.მოვალეობები.

1.დამკვეთი ვალდებულია :

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისდაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1 შესრულებელი ვალდებულია მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროული და ხარისხიანი შესრულება.

4. შემსრულებელი უფლება მოსილია:

მოითხოვოს დამკვეტისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4.მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის07 აგვისტოდან და მოქმედებს 2015 წლის 15 სექტემბრამდე.~~დეკემბრამდე~~

მუხლი მე-6 . ხელშეკრულების შეწყვეტა

1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო .
1.2 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრეან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ , ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერს მხარეები.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი8 . დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთ შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9 . ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

| | |
|---|---|
| დამკვეთი | შემსრულებელი: |
| სოფელ ზოდის საჯარო | ფიზიკური პირი:გელა ჯალაბაძე |
| | პ/ნ 59001097577 |
| NGE52LB0121184510323000 | ანგ. GE11BG0000000922936600 |
| ბანკის კოდი LBRTGE 22 | ბანკის კოდი:BAGAGE22 |
| დირექტორი: /ნონა ყაველაშვილი/ | ფიზიკური პირი: /გელა ჯალაბაძე/ |